

# ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამათემა  
№7, 1 აგვისტო, ორშაბათი, 2022 წელი

გ რ ა ი ლ ე ქ ს ი ა

\* \* \*

ვერა, ვერ ვხვდეთა ქროშ ქო  
ლაქ იყავ, ისეუ ის ხარ,  
ისეუ მთვარეზე ქხვდროშ,  
ქროხით ვი ისეუ მხის ხარ.  
ქარეშს ქაჭყეუქი მყდამ  
ქო ყვეუე იქი, ვინქ ხარ,  
თვით ანვექოქნი შარქათს  
თავისი ხექოთ ვისხამს.  
თყმქ, სქომოქა, ხექოქ,  
ვექოქე ქოქოს ეჭქოქი სისხამს,  
აქოქე აქოქისი ვიქვიქს,  
აქოქე ვაშინეშს სისხვა,  
ქროთა ნაქვექოი შენში  
მექქინეუქა სისხქოქ.  
მიქან ხაჭქოქი ყხმქქ,  
ხან ყვექოქ მექქოქ ქის ხარ...  
ასეა, ასე, მქოქ,  
სოქო 69 -ის ხარ!

მყდამ მთვარექოქიქი



### მამაჩემის პოეზია

ერთხელ, როდესაც ალექსანდრე მაკედონელს ჰკითხეს – ვის რას უმადლიო, მან უპასუხა: სიცოცხლეს მამაჩემს ვუმადლი, ჩემს მასწავლებელს კი – სწორად ცხოვრებასო. არც მე ვარ ალექსანდრე მაკედონელი და არც მამაჩემია საქვეყნოდ განთქმული ფილიპე და ალბათ სწორედ ამიტომაცაა, რომ მე ორივე მათგანს ვუმადლი მურად მთვარელიძეს. რამდენად სწორად ვცხოვრობ – ეგ სხვა საკითხია, მაგრამ სიცოცხლეცა და სწორად ცხოვრების სურვილიც სწორედ მისი წყალობით არის, რომ დღემდე მაქვს.

არიან შემოქმედნი, რომელნიც საკუთარ შემოქმედებასა და ცხოვრებას ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავენ. არიან შემოქმედნი, რომელნიც სხვაგვარად ცხოვრობენ და სხვაგვარად ქმნიან. ისეთი შემოქმედნიც არიან, რომელთაც ავინყდებათ ხოლმე რომ შემოქმედების მიღმა უბრალო, ხშირად, რთულად გასაძღები ცხოვრებაც არსებობს. მამაჩემი სხვანაირი შემოქმედია.


მასხოვს, როდესაც ძალიან პატარა ვიყავი, მიზეზთა და მიზეზთა გამო მამა მეუბნებოდა: ეს შენი სამშობლოა, და თუ ის დღეს უბედურია და იმას ვერ გაძლევს, რასაც იმსახურებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა გიყვარდესო. თითქოს არაფერი, ვის გააკვირვებს ეს სიტყვები, მაგრამ უკვე რამდენი ათწლეულია ჩვენი ქვეყანა ვერ გვაძლევს იმას, რასაც ვიმსახურებთ, ან ვფიქრობთ, რომ ვიმსახურებთ, მაგრამ სხვისი არ ვიცი და, პირადად მე სწორედ მამაჩემის სიტყვები არ მაძლევენ სხვაგვარად ფიქრის და ქმედების საშუალებას...

პოეტი მურად მთვარელიძე მამაჩემია. და მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, იგი საუკეთესო მამაა სამყაროში, მე ყოველთვის მიღრღნიდა გულს ეჭვი, რომ მის სიყვარულში სხვები მეცილებოდნენ. ეს სხვები მისი მოსწავლეები იყვნენ. დიახ, მისი მოსწავლეები, რომლებსაც, როგორც მერე აღმოვაჩინე, თურმე, იმავე სიტყვებს ეუბნებოდა, რასაც მე და ისევე დაუძალებლად ასწავლიდა სწორად ცხოვრებას, როგორც მე. ამიტომაც, ბავშვობიდან ვეჭვიანობდი და დღემდე ვეჭვიანობ მამას მოსწავლეებზე.

პოეტი მურად მთვარელიძე, გარდა იმისა, რომ მამაჩემია, არის შემოქმედი, რომელმაც ის ჩაიდინა, რასაც ალბათ ბევრი ვერ გაუძღებდა – საკუთარ, პატარა ქალაქში ჩუმად ცხოვრება არჩია, სხვა, უფრო დიდი ქალაქის წარმატებული ადამიანის სტატუსს. მერე რაო? – იტყვის ვიღაც. მერე ის, რომ პატარა ქალაქებს ერთი უცნაური თვისება აქვთ – ტკივილსა და სიხარულს ერთნაირად გადაჭარბებულად უძღვნიან ხოლმე ადამიანებს...

და მაინც, მამაჩემი მურად მთვარელიძე პოეტია, რომლის პოეზიაც, მე ვიტყვოდი, ერთი პატარა ქალაქის საზღვრებს ბევრით სცდებოდა. ეს ობიექტური დაკვირვება – ისე, სასხვათაშორისოდ... და რადგანაც შვილისგან მამაზე საუბარი, თუნდაც ეს შვილი ლიტერატორი იყოს და მამა კი – პოეტი, ცოტა უხერხულად ჟღერს, მოდით, რამდენიმე ამბავს გიამბობთ:

### ამბავი პირველი



ჩემი ბავშვობის ყველაზე ტკბილი მოგონებები თოვლიან ხაშურს უკავშირდება. მაშინ ან მე ვიყავი ძალიან პატარა და მეჩვენებოდა, ან კიდევ მართლა ძალიან დიდი თოვლი მოდიოდა ხოლმე ჩემს ქალაქში. ჰოდა, დილით დიდი თოვლის დანახვა ნიშნავდა იმას, რომ მე და მინდიას თოვლის სასახლეს აგვიშენებდნენ – თავისი დარბაზებით, ქანდაკებებით, სავარძლებით, მაგიდებით, საიდუმლო სამალავებით და ა.შ. რა თქმა

უნდა, ამ ყველაფერს მამა აკეთებდა. გვიხაროდა და გვინდოდა თოვლი, აბა, რა იქნებოდა. მაგრამ როცა თოვლი ისეთი დიდი არ იყო, რომ ეს ყველაფერი სათანადო ხელოვნებით შესრულებულიყო, სხვა გასართობიც გვექონდა: „თხილამურებზე“ სრიალს სანამ ვისწავლიდით, მამა დაგვესამადა ხოლმე პატარა მარხილზე და დაგვაქროლებდა დათოვლილ ქუჩაში. ეს ყველაფერი შებინდებისას ხდებოდა. რატომ – არ ვიცი. ალბათ მაინც იმიტომ, რომ მის მოსწავლეებს არ დაენახათ, თუ როგორი ჟრიამულით დააქროლებდა მათი დირექტორი ბავშვებს და ბავშვებზე მეტად თავად როგორ ჟრიამულობდა.

ჩვენი სახლის წინ, ქუჩაზე, მეზობლის ავტოფარეხი ე.წ. ზურიკოს გარაჟი იყო, რომელსაც ყოველთვის უზარმაზარი ბოქლომი ედო (ან

მე მეჩვენებოდა დიდი ეს ბოქლომი, ზემოთ დასახლებულივე მიზეზის გამო). როგორც კი მარხილით ამ ავტოფარეხს ჩავუქროლებდით, მინდია, მე და მამაჩემი მთელი ხმით შევეყვარებდით: „სეზამ, გაილე“! მე მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ სეზამი ამ ავტოფარეხის კარი იყო და მართლა მეგონა, რომ ჩვენი შეძახილი იმ ბოქლომს დაამსხვრევდა და კარიც გაიღებოდა. არ ვიცი, რას ველოდი იმ კარს მიღმა, მაგრამ ნამდვილად მასხოვს, რომ მაშინ „ზურიკოს გარაჟს“ ავტოფარეხად არ აღვიქვამდი. მისი კარი სეზამის კარი იყო, სხვა არაფერი. ჰოდა, დღესაც, როცა სიტყვა „სეზამს“ მოვკრავ ყურს, მაშინვე თოვლიანი საღამოები, იმ საღამოების მთვარე-ვარსკვლავები და მისტიური ავტოფარეხი წარმომიდგება ხოლმე თვალწინ. თითქოს არაფერი, არადა, რამხელა ძალა აქვს ბავშვობის დანალექებს...

სიტყვა „სეზამი“ პოეტ მურად მთვარელიძის ლექსიდან შემოვიდა პირველად ჩემ ცნობიერებაში, თოვლიანი საღამოები კი ყოველთვის, სადაც არ უნდა ვიყო, მარხილით ქროლვისას მამაჩემის ბავშვურად აღტაცებულ სახესა და ხაშურის ცაზე ანთებულ მთვარეს მახსენებს, რომლსაც უკვე რამდენი წელია ვერაფრით ჩამოვაშორე მამას ლექსიდან ჩემს ცნობიერებაში გადმოსახლებული „მოჭრიალე ურმის“ მეტაფორა. ამიტომაც, როცა ღამ-ღამობით მთვარეს შევხედავ ხოლმე, ვილაცისთვის სასხვათაშორისოდ, ჩემთვის კი მრავალმნიშვნელოვნად ვამბობ: „და ცაზე მთვარე მიჭრიალებს, როგორც ურემი“.

ჰოდა ასე: ჭრიალა გორგოლაჭიან ჭებად ქცეული ვარსკვლავებისა არ იყოს, მეც მყავს ცაზე მარად მოჭრიალე ურემი, რომელიც მამაჩემის – მურად მთვარელიძის პოეზიამ მაჩუქა.

### ამბავი მეორე

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სიბნელე, სიცივე და გნებავთ, შიმშილი, ამ ქვეყნის ყოველდღიურობა იყო, როდესაც სახლის ფანჯრები სიცოცხლისათვის საშიშ ზონებად ქცეულიყვნენ, შეშის ლუმელიანი ოთახი კი – ზამთრის სასახლედ, სადაც ოჯახები ბნელ საღამოებს ატარებდნენ, მაშინ, როდესაც არც ტელევიზორები იყო, არც ინტერნეტი და ადამიანებსაც მეტი დრო რჩებოდათ ერთმანეთთან სასაუბროდ, ჩვენს ბნელ ზამთრის სასახლეში საღამოობით უცნაური სიტბო და სინათლე ისადგურებდა. ეს კი მაშინ ხდებოდა, როდესაც სასახლის კარის მთავარი პოეტი თავისი თეატრალური ხმითა და ბავშვური გულწრფელობით საკუთარ და სხვათა ლექსებს კითხულობდა. ეს წმინდა რიტუალი იყო, რიტუალი, რომლის დროსაც თავისდაუნებურად ყველა მდუმარებას ეძლეოდა. და ასე, ქრისტესშობისთვის სუსხიან ღამეებში დგებოდა მამა შეშის ლუმელთან და ზამთრის სასახლეს ნათებოდა. იმ საღამოებში ხშირად „ქროდნენ ქარები, ქროდნენ ქარები, ცა ნახულობდა სიზმრებს კანთიელს, კალთებს იკეცდნენ ღრუბლის კარვები“ და ჩვენც ღამეებს პოეზიით ვათევდით. „იმ სიბნელეში უცხო სინათლე გამოდიოდა ჩვენი სახლიდან“, მთვარესაც ხშირად წარმოვიდგენდით ხოლმე, თუ ვით „გარბოდა სოფლის შარაზე და ორლობეში თავს ქვებს ახლიდა“. მამაჩემის ამ და სხვა ლექსების წყალობით არის, რომ დღემდე ძაღლების ყეფის ხმა აქვთ ქარებს, რომ უკვე თითქმის სამი ათეული წელია ყოველი ქრისტესშობისთვის „ჩვენი სულის მიმწუხრის დარად“ მთავრდება ჩემთვის; რომ ყოველი ზამთრის პირველი თოვლი უცნაურ სევდას ბადებს ხოლმე ჩემს წარმოსახვაში, რადგანაც მას მერე, რაც მამამ საკუთარი ცხოვრებით ამიხსნა თუ რას ნიშნავს სისუბეტაკე, არც მე მემეტება ზეციური თოვლის ფანტელი ამ მინისათვის. იმ საღამოებიდან ერთი ლექსი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა:

„ – გახსოვს მცხეთა?  
როგორ გვსურდა  
იქ ორივეს დარჩენა,  
სვეტიცხოვლის დანახვაზე  
რომ აგვტკივდა მარჯვენა.  
გახსოვს, რაღაც გვანვალედა,  
სიყვარული კი არა,  
ჯვარმა ერთად გაგვახსენა  
მაშინ ყველა იარა.“

მაშინ ამ ლექსში მოხსენიებული არცერთი ტოპონიმის მნიშვნელობა არ მესმოდა, არც ილიასა და წინამურზე მქონდა ზედმინწვნითი წარმოდგენა, და ალბათ, არც ის ვიცოდი, რატომ უნდა ატკიებოდა მამას მარჯვენა სვეტიცხოვლის დანახვისას. მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან მომწონდა ეს ლექსი და ხშირად ვიმეორებდი.

დღეს კი, როცა აღნიშნულ ტოპონიმთა მნიშვნელობაც მესმის და ლექსში წარმოდგენილი ალუზიების გაშიფრვაც მეტ-ნაკლები ფილოლოგიური ობიექტურობით შემიძლია, მაინც მგონია, რომ ლექსით გამოწვეული ის ბავშვური აღტაცება, ყველაზე გულწრფელი და ზუსტი საზომია მამაჩემის – პოეტ მურად მთვარელიძის ამ კონკრეტული ლექსისთვისაც და მისი მთელი შემოქმედებისთვისაც. კიდევ ერთი საზომი კი ის არის, რომ ყოველთვის, როცა მცხეთის



მიდამოებში აღმოჩნდები ხოლმე, სწორედ ეს ლექსი მახსენდება ისე, თავისთავად, ავტორის ვინაობის გააზრების გარეშე. ზუსტად ისე, როგორც ბეთანიის ყოველი ხსენება წამოატივტივებს ხოლმე ჩემს გონებაში დიდი ხნის წინ ჩაღებულ უკვდავ სტრიქონებს: „წამყე ბეთანიისაკენ...“

**ამბავი მესამე**

ერთხელ, ერთ სრულიად ჩვეულებრივ საღამოს, მამაჩემის ლექსების კითხვისას ერთ ლექსს წავაწყდი, რომელიც მერე წლების განმავლობაში ერთგვარ დევიზად მექცა... დიდი ხნის წინანდელ ამბავზე მოგიხსრობთ, რომელიც ასე იწყება:

„შენ მეუბნებოდი, რომ გიყვარს უსაზღვროდ, თავდავინწყებამდე ბლოკი...“

მაშინ ბლოკის პოეზიისა დიდი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ბავშვობისდროინდელ წრფელ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ამ ლექსმა მეც თავდავინწყებამდე შემაყვარა ბლოკი...

მერე, ამ ლექსის დაწერიდან ბევრი წლის შემდეგ, ერთ საღამოს, მამამ გვიამბო, თუ როგორ უცნაურად და უცხოვრებდა მისი სევდიანი ბლოკი მასთან. ეს ის საღამო იყო, როდესაც პირველად დავფიქრდი მარადიულობის არარსებობის ჭეშმარიტებაზე.

და მიუხედავად ამისა, მას შემდეგ ბევრჯერ გამხსენებია ბლოკი, ძირითადად ერთი ბანალური მიზეზით, მაგრამ მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ მისი სახელის ყოველი მოსმენისა თუ გახსენებისას, ისე უეცრად, თავისთავად წამოტივტივდება ხოლმე გონებაში „ჩვენი სევდიანი ბლოკის“ მეტაფორა.

და ვასკვნი, მეტაფორები, ისევე როგორც ადამიანები, ალბათ ყველაზე ადვილად ექვემდებარებიან მეტამორფოზის კანონს. ამიტომაცაა, რომ მამაჩემის – მურად მთვარელიძის ლექსში ერთ დროს ამოკითხული „ჩვენი სევდიანი ბლოკი“ ისე, თავისთავად, გაუაზრებლად მომესაკუთრა. და ამასაც, მამაჩემის პოეზიას ვუმაღლი...

**ბოლო ამბავი**

მამაჩემი, მურად მთვარელიძე სევდის კაცია. თუმცა კი, თავად თავის წამდვილ სევდაზე, როგორც ერთი კარგი კაცი იტყოდა, – ადამიანების სევდაზე, არასდროს საუბრობს. მის ლექსებში კი რთული არ არის ამ სევდის ამოკითხვა. სევდა ისეთი რამაა, რაც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას. სევდიანი თვალელებიც მემკვიდრეობითია, მათში იმ რალაცის ამოკითხვა კი – რთულზე რთული.

არის ერთი ლექსი, რომელიც მე განსაკუთრებულად მეძვირფასება – როგორც ადამიანს, როგორც შვილს და როგორც ფილოლოგს. მამაჩემის ამ ლექსიდან სწორედ სევდიანი თვალელები იმზირებიან, ის თვალელები „ყოფნა-არყოფნის უხუცეს კითხვაზე“ პასუხად რალაცას რომ ამბობენ. ეს არც სენტიმენტალიზმია, არც რომანტიზმი, მით უფრო – სუბიექტივიზმი. ეს რეალობაა, ყველა ცოცხალი არსებისთვის ყველაზე მწარე ტკივილი, რომელსაც ვერასდროს დაივიწყებ, ისევე, როგორც ვერ დაივიწყებ მის „მომღიმარ სახეს, სიკვდილის წინ რომ სიკვდილს დასცინა“.

სიკვდილზე საუბარი ალბათ ყველაზე მეტად უჭირთ ადამიანებს, ამავდროულად, ყველაზე მეტადაც ხიბლავთ... სიკვდილზე მოსაუბრე პოეტებს კი, აბა, რა დალევს. და მაინც, იშვიათად ინერება ისეთი ლექსები, რომლებიც სადად, ყოველგვარი პათეტიკისა და მისტიკის გარეშე დაგაფიქრებენ მასზე, რაზედაც, აკი ვთქვით, ყველაზე მეტად უჭირთ ადამიანებს საუბარი.

„ქარები მოვიდნენ, ქარები წავიდნენ, სული კი წამოდგა და გარეთ გავიდა“ – იქნებ, მართლა ასეთია სიკვდილი?.. ჩემთვის ასეთია.

\* \* \*

მამაჩემის პოეზია მამაჩემის ცხოვრების სარკეა, რომელშიც დროდადრო ვიხედები ხოლმე – როგორც შვილიც და როგორც ლიტერატორიც და ჯერ არ მახსოვს შემთხვევა, ამ სარკეში მისი ცხოვრება არ დამენახოს.

ზემოთ მოთხრობილ ამბებს, ვინმე სხვა, ალბათ, რამე ინტერ-ჰიპერ-და ა.შ.-ტექსტუალურ ჭრილში წარმოაჩენდა, მე ეს ვერ შევძელი, რადგან უბრალოდ პოეტ მურად მთვარელიძის კი არა, მამაჩემის პოეზიაზე უნდა მესაუბრა.

უფრო ლიტერატურული ამბების თხრობა კი სხვებისთვის დამითმია.

თათია მთვარელიძე

ი გ ა ვ ი



გაზეთი „ლიტერატურული ხაზი“ ერთგულ მკითხველსა და გულშემატკივარს, ბ-ნ ვასილ ხაჩიძეს ულოცავს დაბადების დღეს.

**სამი ვარდის ამბავი**

ცხრა მთას იქით იყო ერთი ქალაქი, სადაც უამრავი ვარდი ხარობდა. ამიტომ ამ ქალაქს სანავარდო უწოდეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამი ფერის ვარდი: წითელი – სახელად ვარდო, ყვითელი – გულყვითელი და თეთრი – ფოთოლცვენია. ისინი მეგობრები იყვნენ. მათ ძალიან უყვარდათ ზღვა, რომელიც არასოდეს ენახათ, მაგრამ ოცნებობდნენ მის ნახვას. ზღვა კი ცხრა მთას იქით იყო. ერთხელ მოილაპარაკეს, რომ წასულიყვნენ ზღვის მოსანახულებლად. შეთანხმდნენ, პირველი თეთრი ვარდი ფოთოლცვენია გაეგზავნათ. გზა დიდი და რთული გასავლელი იყო. თეთრ ვარდს დაელოდებოდნენ, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდებოდა და შემდგომ თვითონაც წავიდოდნენ ზღვის სანახავად.

წავიდა ფოთოლცვენია თეთრი ვარდი. გადაიარა პირველი მთა. გზად ძალიან დაიღალა და მოსწყურდა. ერთგან წყარო შეხვდა. წყლის დალევა სთხოვა. წყარომ უთხრა:

– წყალს როგორ არ დაგაღვინებ, მაგრამ ერთი ფოთოლი უნდა მომცე.

რა უნდა ექნა, ფოთოლცვენია თეთრ ვარდს ძალიან სწყუროდა. მისცა წყაროს ერთი ფოთოლი, წყურვილი დაიკმაყოფილა და ახალი ენერგიით გაუდგა გზას. გადაიარა მეორე მთა. ისევ დაიღალა, ისევ მოსწყურდა. მონახა წყარო, მაგრამ ფოთლის გარეშე არც მან დააღვინა წყალი. ასე გადაიარა ცხრა მთა. გზაში წყლის სანაცვლოდ ფოთლებს უტოვებდა წყაროებს. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა მისი სანუკვარი ზღვა. ვარდი ფოთოლცვენია სიხარულით გაექანა მისკენ.

– მოვედი თეთრი ვარდი შენს სანახავად. – ის იყო, უნდა ჩახუტებოდა ზღვას, რომ ზღვამ მრისხანედ შეხედა მის ფოთოლცვენის ვარჯს და უთხრა:

– რას დამგვანებულხარ, ტანზე ფოთლები შემოგცვენია! მე შენნაირ ვარდს ვერ მივიღებ! – ჰკრა ტალღა და ნაპირისკენ მოისროლა. უკან დასაბრუნებელი აღარც ფოთოლი, აღარც ძალა და ენერგია აღარ ჰქონდა ფოთოლცვენისა. ელოდნენ ცხრა მთას აქეთ სანავარდოში წითელი და ყვითელი ვარდები. რომ აღარ გამოჩნდა, ყვითელმა ვარდმა უთხრა წითელს:

– მოდი, მე წავალ, ზღვასაც მოვიწახულებ და ფოთოლცვენის ამბავსაც გავიგებ, იქნებ რა გასაჭირშიაო. გაუდგა გზას გულყვითელი. მასაც ცხრა მთა ჰქონდა გასავლელი, ზღვამდე რომ მიეღწია. პირველი მთა რომ გადაიარა, დაიღალა და მასაც მოსწყურდა წყალი. შეხვდა წყარო. მივიდა მასთან და სთხოვა დარწყულება.

– კი, ბატონო, წყალს დაგაღვინებ, მაგრამ ერთი ფოთოლი უნდა მომცეო.

– უთხრა წყარომ. გულყვითელამ უპასუხა:

– მე რომ შენ ფოთოლი მოგცე, ზღვასთან უფოთლოდ როგორ მივიდეო. მოითმინა, არ მისცა ფოთოლი და განაგრძო გზა. გადაიარა მეორე მთა. იქაც შეხვდა დალილს წყარო, მანაც მოსთხოვა ფოთოლი. მასაც იგივე უპასუხა ყვითელმა ვარდმა და ასე, მოთმენით გადაიარა ცხრა მთა. როგორც იქნა, გამოჩნდა ზღვა. გახარებული და დალილი ძლივს მილასლასდა ზღვამდე, რომ მის ტალღებს ჩახუტებოდა. ზღვამ ამრეზით შეხედა გულყვითელი ვარდს:

– ფოთლები რას გიგავს, როგორ ჩამომჭკნარხარ და დაბერებულხარ. შენ ჩემი ღირსი არა ხარ! – ჰკრა ტალღა და გამოაგდო ნაპირისკენ.

უცადა წითელმა ვარდმა ცხრა მთას აქეთ ფოთოლცვენია თეთრ და გულყვითელი ყვითელ ვარდს და რომ აღარ გამოჩნდნენ, იფიქრა, ახლა მე წავალ, მათ ამბავს გავიგებ და ზღვასაც მოვიწახულებო. გაეშურა წითელი ვარდი მეგობრების მოსაძებნად და ზღვის სანახავად. მასაც ცხრა მთა ჰქონდა გასავლელი. პირველი მთის გადავლისას მასაც მოსწყურდა წყალი. მივიდა წყაროსთან წყლის დასაღვებად. წყარომ კი, სანაცვლოდ, მასაც ფოთოლი მოსთხოვა. წითელმა ვარდმა იფიქრა, მე რომ ამას ფოთოლი მივცე, უფოთლოდ ზღვას არ მოვეწონებო, მაგრამ წყურვილი კლავდა და წყლის დალევა ენდა. ვარდმა უთხრა წყაროს:

– კი ბატონო, ჯერ დამაღვინებ და ფოთოლს შემდეგ მოგცემო. დაარწყულა წყარომ წითელი ვარდი. ვარდმა სული მოითქვა, დაისვენა და წყაროს უთხრა:

– მე უფოთლოდ ზღვას არ მოვეწონებ, ახლა ფოთოლს ვერ მოგცემ, მაგრამ აქეთობისას, აუცილებლად პირობას შევასრულებო.

ასე მოატყუა წითელმა ვარდმა ცხრავე წყარო და ზღვამდე უფრო გალაღებულმა, ალაჟღაჟებულმა და გალამაზებულმა მიადგინა. შესძახა ზღვას:

– მოვედი, ზღვაო, შენი მონატრებული წითელი ვარდი შენს სანახავად. ზღვამ შეხედა ვარდოს და ძალიან მოეწონა:

– აი, მე სწორედ ამნაირ ვარდს ველოდი, ლამაზს და გალაღებულს. ჩაიკრა ტალღებში და მას შემდეგ ცხოვრობენ შესმატკბილებულად და ბედნიერად.



# ემიგრანტული პოეზია



\*\*\*

ფეხზე მკიდია ქარები და  
 ღრუბლები ლეგა  
 ისე დაჰქრიან,  
 თითქოს ქერის ყანა ეთესოთ,  
 მაღლობა ყველას, ვინც ოდესმე  
 ნახვედით ჩემგან,  
 მაღლობა ღმერთს, რომ  
 ისევ ველი საუკეთესოს.  
 ჩემთვის სამყაროს არც სასრული,  
 არცა აქვს კიდე,  
 ჭია არა ვარ, რომ ვიყურო  
 ყოფის ნესტიდან,  
 ქუჩაში ნაგდებ გაღიმებას  
 ხელს არა ვკიდებ,  
 შენი ღიმილი უნდა მოვხსნა  
 ევერესტიდან!

\*\*\*

ვამონმებ ზურგჩანთას,  
 ბილეთი აქ არი, –  
 ხვალ რომში ვიქნები,  
 გავყურებ ლიანდაგს,  
 – გაგასწროთ, წუთის წინ  
 დატოვა ბაქანი, –  
 მაფხიზლებს ცივი ხმა,  
 – თქვენ დაგაგვიანდათ.  
 პასუხი ერთია,  
 სადაც კი მივედი,  
 მგზავრებში დავდივარ  
 ხან ჩრდილად, ხან ლანდად,  
 გავიდა? – გავიდა...  
 არ არის იმედი?  
 ისევ ის ცივი ხმა:  
 – თქვენ დაგაგვიანდათ!  
 და ბოლო სადგური,  
 ხალხია მილეთის,  
 ქარი ქრის, გგონია,  
 სამყარო მიაქვს და...  
 – თქვენც რომში მიდიხართ?  
 ინებეთ ბილეთი.  
 – მე?... აღარ მივდივარ,  
 მე დამაგვიანდა!

\*\*\*

აღარ გაჩერებ, აღარ გაყოვნებ,  
 რასაც ვიტოვებ, მყოფნის ის სევდაც,  
 ლექსებს დავწერ, გულს გადავყაობ,  
 შენ ლექსი იყავ ჩემთვის, ისედაც...  
 შავი ღრუბელი მარტყია არედ,  
 ცაში ვარ, მინა კვლავ ვერ მოვირგე,  
 მე ვალიარებ – ნავაგე მწარედ,  
 მაგრამ მითხარი, შენ რა მოიგე?

ეკა ჯავახიშვილი დაიბადა 1976 წლის 14 ოქტომბერს, დედოფლისწყაროში. უმაღლესი განათლება სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო.

ბავშვობიდან წერს ლექსებს. არის ორი პოეტური კრებულის ავტორი. 2015 წლიდან ცხოვრობს საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე.

ემიგრანტი პოეტი ქალის გულწრფელი გრძნობებით აღსავსე პოეზია გულგრილს ვერ დატოვებს მკითხველს.

\*\*\*

სხვა ცას არ ამოვფარვივარ,  
 თუ წაველ, დავალ უცაო,  
 შენთვის მე ისევ ფარი ვარ,  
 სხვაგვარ მაცოცხლა ნურცაო...  
 არ გამიცვლიხარ ფიქრითაც,  
 სამოთხეც მომცენ, არა გვჯობს,  
 ამ ცხრა მთა, ცხრა ზღვის იქითაც  
 მე დარიალთან გდარაჯობ!

\*\*\*

ღრუბლები ზეცას მისწებებია,  
 შუბლზე დაუსხამთ კოპები რისხვის,  
 მაგათ რა უჭირთ, თვითონ თბებიან  
 და არ უშვებენ ჩემამდე მზის სხივს.  
 აქა-იქ ვიჭერ სითბოს თუ ძალად,  
 მათაც სული მე უნდა ვუბერო,  
 მითხარი, რატომ დგახარ უძრავად  
 ჩემს და მზეს შორის, მუდამ, ღრუბელი?

\*\*\*

მზე იცინის გაზაფხულის,  
 გული ფეთქავს იაში,  
 რაკრაკებენ წყაროები,  
 რაც კი გზა-გზა სმენიათ,  
 ისევ ისე დაკარგული  
 ვარ ჩემს უტოპიაში,  
 რა გახდა ეს სიყვარული,  
 ველარ მოუსვენია...  
 ცა სულ გადავიზიპირე,  
 ვარსკვლავები დავთვალე,  
 ლაფვარდებმა ვერ მოლაღეს  
 ყმანვილური ის ფრთები,  
 ცხვირზე წამოსკუპებული  
 ვერ მადინჯებს სათვალე  
 და, სამყაროვ, ახლა უფრო  
 მეტად მევარდისფრები...

\*\*\*

მზეო ხვალინდელი, გეაჯები,  
 უნდა გამირღვიო ღრუბლის ალყა,  
 ბორკილს ვერა ჰგუობს ეს მაჯები,  
 ქარიც, უღმობელი, კვალში ამყვა.  
 როგორც გაყიდულ ყმას ელვითა მცემს,  
 სხვა ცა, არ ვუღირვარ ვაჰმე, გროში,  
 სანამ უძღურება დაბლა დამცემს,  
 მზეო, დამაბრუნე სამშობლოში.

\*\*\*

ღრუბლებში თავი მაქვს ჩარგული,  
 ვნიმვარ და არავის ვანვიმვარ...  
 სადა მაქვს ფიქრები, სად – გული,  
 სად – სიტყვა, სულ ნაწილ-ნაწილ ვარ...  
 ჟანგი ჭამს კედელზე სატევარს  
 და ქართველობის კი, ვალი – მე.  
 იქნება, მეც მოლაღატე ვარ,  
 ვაიმე, სამშობლოვ, ვაიმე!

\*\*\*

მტოვებ მაშინვე, იმღვრევა თუ ცა,  
 მარტოს სახლამდი წვიმა მაცილებს,  
 შენ გიყვარს ჩემი სიცილი, თუმცა,  
 ბევრჯერ არ იცი, მე რა მაცილებს...  
 სიოს ნელ-ნელა მოსდევს ქარები  
 და შეუმჩნევლად მავსებს სიცივით,  
 ასეც ტირიან ზოგჯერ ქალები –  
 უცრემლებოდ და სიცილ-სიცილით...

\*\*\*

ეს, რა ჩაიძინე, ციციკორე,  
 რისთვის აამხედრე შარა-ყორე!  
 ვირზე სიყვარული შემოსვი და  
 სოფლის წყევლა-კრულვა გააყოლე!  
 შენ არ გყვარებია, ციციკორე,  
 შენ არ გაგიღუნავს კალო ვნების,  
 ის, რაც ციურია, არ ეხება  
 იმას დედამინის კანონები...  
 მის ძალს გაჰქცევია ვერც სრა მეფის,  
 მის ძალს გაექცევა ვერც ოდები,  
 მე იმ სიყვარულში განვმეორდი  
 და შენც დღემდის ხარ და მეცოდები...

\*\*\*

ცას ცრემლებად ისევ ვწყდები,  
 სიყვარულშიც არ დევს არსი,  
 შეცვლილია წიგნის ყდები,  
 უცვლელია შინაარსი.  
 ჩემს ქუჩაზე სულ რატომ წვიმს? –  
 ვეკითხები ნაცნობს, უცნობს,  
 ვატრიალებ ხელებში წიგნს,  
 აღარ მინდა გადავფურცლო.

\*\*\*

ცხოვრებას სწავლობ ბოლოში,  
 მანამდე ვინ, რა იცისა,  
 ვერ ავიცილე იღბალი  
 მოუსვენარი კვიცისა,  
 სულ რომ დედის წინ დახტოდა,  
 აქეთ მინა ძრა, იქით – ცა,  
 თავზე წაადგა მგელი და  
 არ დაუტოვა ჩლიქიცა.

\*\*\*

სუყველა ქარი ერთობ დაოკდა,  
 ვერ მოიოხე გული შეტევით,  
 ჩემი ნაბადიც ისე დამოკლდა,  
 იქ მხოლოდ მე და ფიქრი ვეტივით.  
 ამყოლი რა ქარს, გამყოლი რა წყალს,  
 წლები დავისხი მაინც საღებო,  
 ვუხსენებ „ცოდვებს“ ამ ჩემს თავს, საწყალს,  
 ერთიც არ არის არმისაღები.